აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 3

31/07/2026 წელი **ქ. ბათუმი**

14⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პაატა კეშელავა.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამი გუგუნავა - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე – უსკოს აპარატის საოქმო, სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფრიდონ ბათნიძე - უსკოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ნესტან ნაკაშიძე - უსკოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშის დადგენის შესახებ;

3. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმის დადგენის შესახებ;

4. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი განცხადებების, დამკვირვებელთა სიებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმების/შინაარსის დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დადგენის შესახებ;

6. სხვადასხვა

აზრი გამოთქვეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს შესთავაზა დღის წესრიგის პროექტის პირველი და მე-5 საკითხებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების სათაურების დაზუსტება, კერძოდ:

ა) პირველი საკითხით გათვალისწინებული დადგენილების პროექტის სათაურის – „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ“ – ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით: „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის დადგენის შესახებ“;

ბ) მე-5 საკითხით გათვალისწინებული განკარგულების პროექტის სათაურის – „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დადგენის შესახებ“ – ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით: „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების რეგისტრაციისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობების ფორმების დადგენის შესახებ“.

კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პროექტის სხდომაზე შემოთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის დადგენის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშის დადგენის შესახებ;

3. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ;

4. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი განცხადებების, დამკვირვებელთა სიებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმების/შინაარსის დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების რეგისტრაციისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობების ფორმების დადგენის შესახებ;

6. სხვადასხვა.

1. დადგენილება
მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოთხოვნების შესაბამისად, უსკო ვალდებულია დაადგინოს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესი. მისი განმარტებით, პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 42- ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ პირობას, ვალდებულია პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, უსკოს წარუდგინოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიის მხარდამჭერი არანაკლებ 3000 ამომრჩევლის სია, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის პროექტით განისაზღვრება მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერების შემოწმებაზე უფლებამოსილი პირები, შემოწმების ვადები, ხელმოწერების ბათილად მიჩნევის საფუძვლები და შემოწმებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული საკითხები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[4]“ ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დადგინდეს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებითი წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ივლისის №1 დადგენილება (საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 04/08/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016056).

მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი და დეტალურად გააცნო მისი დანართები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ნიმუშის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის პირველი პუნქტის, 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის განაცხადის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის რეგისტრაციის მხარდამჭერთა სიის ბლანკი, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №11 განკარგულება;

2. „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს №12 განკარგულება.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

3. განკარგულება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და დეტალურად გააცნო მისი შინაარსი. მან აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების აუცილებლობა გამომდინარეობს უსკოს 2026 წლის 24 ივლისის №4 დადგენილებით დამტკიცებული არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების რეგისტრაციის წესიდან, რომლის თანახმადაც საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმას უსკო განკარგულებით ამტკიცებს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №4 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

4. განკარგულება

არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი განცხადებების, დამკვირვებელთა სიებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმების/შინაარსის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა „არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი განცხადებების, დამკვირვებელთა სიებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმების/შინაარსის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი და დეტალურად გააცნო მისი შინაარსი. მან აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივ დამკვირვებელთა რეგისტრაციის შესახებ განცხადებისა და ადგილობრივ დამკვირვებელთა სიის ფორმების, აგრეთვე საერთაშორისო დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განცხადებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმების დადგენას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა „არასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელთა რეგისტრაციის მიზნით წარსადგენი განცხადებების, დამკვირვებელთა სიებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმებისა და შინაარსის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დადგინდეს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში:

1. ადგილობრივ დამკვირვებელთა რეგისტრაციის შესახებ განცხადებისა და დამკვირვებელთა სიის ფორმები და შინაარსი დანართი №1-ის შესაბამისად;
2. საერთაშორისო დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განცხადებისა და დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის ფორმები და შინაარსი დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

5. განკარგულება

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების რეგისტრაციისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობების ფორმების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კომისიის წევრებს წარუდგინა „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების რეგისტრაციისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობების ფორმების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი და დეტალურად გააცნო პროექტით გათვალისწინებული მოწმობების ფორმები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, კენჭისყრაზე დააყენა „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების რეგისტრაციისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობების ფორმების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო

კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დადგინდეს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში:

1. ადგილობრივი დამკვირვებლის რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.
2. საერთაშორისო დამკვირვებლის რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.
3. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, პაატა კეშელავამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პაატა კეშელავა**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**